განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 17,18 აგვისტო, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 13 ოქტომბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მეცნიერების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313 ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N280; 11.11.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ბადრიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზია თედიაშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე საბიაშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თსუ-ს ფსიქოლოგიის ფაკულტეტი გასული საუკუნის 20-ანი წლებიდან ფუნქციონირებს. ფსიქოლოგიის კათედრაზე მოღვაწეობდა ბევრი ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართული ფსიქოლოგიის სკოლის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ფაკულტეტი იძლევა საშუალებას, აღზარდოს კვალიფიციური სპეციალისტები.
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება 2005 წლიდან. 2011 წელს აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 280; 11/11.2011).
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაა 240 კრედიტიანია. აქვთ როგორც სავალდებულო ასევე, არჩევითი კურსები. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაეუფლონ დამატებით სპეციალობას.
2011 წლის აკრედიტაციის შემდეგ ფაკულტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაციები და შეიტანა მთელი რიგი ცვილილებები პროგრამაში. კერძოდ, განაახლა ლიტერატურა, გადახედილ იქნა სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები, დამატებულ იქნა მთელი რიგი საგნები - როგორც არჩევითი, ასევე სავალდებულო. გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებელთა და უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები და არჩევით საგნებში შეტანილ იქნა პრაქტიკული კურსები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2011 წელს აკრედიტებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 17-18 აგვისტოს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლათფორმის მეშვეობით.
წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა ბიბლიოთეკარის დახმარებით.
ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. სრულ შესაბამისობაშია პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მეორე სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

1.2 სტანდარტთან მიმართებაში

- გაიზარდოს შრომის ბაზრის გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა

2.2. სტანდარტთან მიმართებაში

- გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან
- სასწავლო პროგრამაში პროფესიული ინგლისური ენის კურსის დამატება

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

- გადაიხედოს სილაბუსებში „დასწრება/აქტივობის“ შეფასება და ქულები გადანაწილდეს აქტივობაზე (რომელიც სტუდენტის დასწრების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - კურიკულუმის რუკაში, პირველ სასწავლო წელს სავალდებულო სპეციალობის კურსებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.
  - სასურველია გაანალიზდეს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღების და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების კლების ტენდენცია.
  - სასურველია სილაბუსებში, სადაც მითითებულია ჯგუფური მუშაობა თუ პრაქტიკული მეცადინეობა, დაკონკრეტდეს სამუშაო საკითხები.
  - სასურველია, შეძლებისდაგვარად განახლდეს ლიტერატურა.
  - სასურველია მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით.
  - სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევითი საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ის მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.
  - სასურველია გადაიხედოს არსებული მექანიზმები გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - მნიშვნელოვან მიღეწვას წარმოადგენს პროგრამაში პრაქტიკული კურსების და მეცადინეობების შეტანა

- **„არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არგაზიარების შესახებ ინფორმაცია“**

  - ***1.2.** მომზადდეს სისტემური ხასიათის შრომის ბაზრის ანალიზი და დაზუსტდეს გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია -* *არგუმენტირებული პოზიცია მისაღებია კვლევის მეთდოლოგიასთან მიმართებაში. თუმცა, რეკომენდებულია გაიზარდოს გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა.*

- ***2.2. პროგრამის სტრუქტურა გადაიხედოს და დეტალურად გაიწეროს ყველა სავალდებულო (145) კრედიტი -*** *ინსტიტუცია სრულად იზიარებს პოზიციას.*
- ***2.2. სასწავლო პროგრამაში პროფესიული ინგლისური ენის კურსის დამატება -*** *ექსპერტთა ჯგუფი არამხოლოდ პროფესიული უნარების თვალსაზრისით, არამედ სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარეც უცვლელად ტოვებს აღნიშნულ რეკომენდაციას. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოთქვეს ზემოთხსენებული სასწავლო კურსის დამატების სურვილი, რამდენადაც უძნელდებოდათ ინგლისურენოვანი სასწავლო მასალის დამუშავება.*
- ***2.3. სასწავლო კურსის კვლევითი ნაშრომის სილაბუსში გასწორდეს დაშვების წინაპირობა -*** *ექსპერტთა ჯგფისთვის მისაღებია არგუმენტირებული პოზიცია.*
- ***2.6. რეკომენდებულია სილაბუსებში „დასწრება/აქტივობის" შეფასების გადახედვა და ქულების გადანაწილება აქტივობაზე (რომელიც სტუდენტის დასწრების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს) -*** *ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის არგუმენტირებულ პოზიციას, ვინაიდან, მხოლოდ დასწრების ქულა გამოყოფილია ცაკლე კომპონენტად ისეთ საგნებში, რომლებიც არ არის პრაქტიკული. მაგალითად: კონფლიქტის სოციალური ფსიქოლოგია -დასწრებას ენიჭება 10 ქულა, აქტივობას კი -10 ქულა. კროს-კულტურულ ფსიქოლოგიაში - დასწრება 15 ქულა, აქტივობა - 15 ქულა; მართვის ფსიქოლოგიაში - დასწრება 10 ქულა, მასობრივი კომუნიკაცია: კულტურული და პოლიტიკური ასპექტები- დასწრება 15 ქულა, აქტივობა - 15 ქულა, ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები - დასწრება 10 ქულა; შესავალი პოზიტიურ ფსიქოლოგიაში - დასწრება 5 ქულა; რეკომენდებულია დასწრების ქულები გადანაწილდეს აქტივობაზე (რომელიც სტუდენტის დასწრების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს)*
- ***4.3 ბიბლიოთეკაში წიგნების ეგზემპლიარების რაოდენობა გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში, დაემატოს -*** *მისაღებია ინსტიტუციის არგუმენტირებული პოზიცია.*

○ პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტმა მიიღოს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის ფუნდამენტური ცნებების, კანონზომიერების შესახებ; შეძლოს კვლევის დაგეგმვა და განხორციელება და მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. პროგრამის განახლებული მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღეწვადია. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს, რაც მოიცავს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან, რაც აისახება საგანმანათლებლო პროცესში კვლევების ინტეგრირებაში და პროგრამის მოდერნიზაციასა და ინტერნაციონალიზაციაში. პროგრამის მომზადების პროცესში ჩართული იყო გრაცის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიუტის პიროვნებისა და დიფერენციალური ფსიქოლოგიის კვლევითი გუნდის ხელმძღვანელი პროფესორი, ა. ნოიბაუერი. გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელებმა პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიარეს გრაცის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კურიკულუმის კომისიის ხელმძღვანელთან, პროფესორ ნ. ტანცერთან. ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მიღებული რეკომენდაციები, კერძოდ კი, სილაბუსებს დაემატა პრაქტიკული კომპონენტები. ასევე, პროგრამამ გაიარა გარე შეფასება გრენობლის უნივერსიტეტის პროფესორ ლ. ბეგიუსთან. სილაბუსებთან დაკავშირებით რეკომენდაციები გათვალისინებულ იქნა თვითშეფასების ჯგუფის მიერ. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: Cross-Cultural psychology; Introduction to psychology; Culture and social boundaries; Positive psychology; Social psychology; Interpersonal communication. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძლიერი მხარეა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. პროგრამის დახვეწაში ჩართულნი იყვნენ

საერთაშორისო ექსპერტები, აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებსა თუ პროექტებში, აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებულია სტატიები უცხოეთის რეფერირებად ჟურნალებში, ბაკალავრიატის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში.
საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების სამომავლო ხედვაა უცხოელი კოლეგების ჩართვა ლექციების და ტრენინგების ჩატარებისად, გაცვლითი პროგრამების სტუდენტებისთვის ინგლისურენოვანი სასწავლო საგნების შეთავაზება და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- თსუ-ს მისია https://www.tsu.ge/ka/page/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ“; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15991
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო პროგრამა „ფსიქოლოგიის“ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია
- უცხოელი სპეციალისტების მიერ პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმები
- თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ კონფერენციებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სამუშაო მივლინებებში, მათ შორის თსუ-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებები; უცხოური გრანტები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში სწავლის შედეგები წარმოდგენილია 3 ძირითად ჯგუფად. ესენია: 1) ცოდნა და გაცნობიერება, 2) უნარები და, 3) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების და კურსების შესაბამისობის კურიკულუმის რუკაზე, თითოეულ სასწავლო საგანზე მითითებულია, თუ რომელ სწავლის შედეგს შეესაბამება თითოეული სასწავლო პროგრამა და რა დონით ავითარებს იგი ამა თუ იმ სწავლის შედეგს (1-გაცნობა, 2- გაღრმავება, 3-განმტკიცება).

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, უსდ-ს მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა. ჩატარებულ იქნა დამსაქმებლების კვლევა, რომლის მიზანი იყო მათი დამოკიდებულების და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებით კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა დამსაქმებელმა. მონაწილეობდნენ როგორც კერძო, ასევე საჯარო სამსახურები და არასამთავრობო ორგანიზაციები. კვლევის შედეგად გამოიყო ოთხი ძირითადი კომპეტენციის სფერო: თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გუნდური მუშაობის უნარი და ანალიტიკური უნარ-ჩვევები. მონაცემთა დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა, რომ შრომის ბაზარზე აღინიშნება კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რის გამოც პრობლემები ექმნებათ შესაბამისი კადრების მოძიებაში (დამსაქმებელთა 92%). დამსაქმებელთა 70% მიუთითებდა, რომ კადრების არასათანადო კვალიფიკაციას განაპირობებდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაკლებობა.

დამსაქმებელთა კვლევის გარდა, დამატებით, უსდ-ს მიერ სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა მეტი პრაქტიკული სასწავლო კურსების შემუშავების საჭიროება, რაც გათვალისწინებულ იქნა წარდგენილ სასწავლო პროგრამაში.

საყურადღებოა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მაჩვენებლები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებასთან დაკავშირებით. ყოველწლიურად იკლებს კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობა. კერძოდ: 2016-66.4%, 2017-60.4%, 2018-47.9%, 2019-52.4%, 2020-23.0%.

მიგვაჩნია, რომ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი საჭიროებს სრულყოფას, კერძოდ, გაიზარდოს გამოკითხულ დამსაქმებელთა რაოდენობა, რათა კვლევა ჩაითვალოს ვალიდურად და სანდოდ.

თვითშეფასების ანგარიშის და ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტებთან და სტუდენტებთან ინტერვიურების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ფაკულტეტი ზრუნავს სწავლის შედეგებზე და მათი შეფასების მექანიზმზე. იყენებენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ (რაც გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას) და არაპირდაპირ (რაც გულისხმობს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების შეფასების შედეგებს) და მექანიზმს.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები პროგრამის ყველა სწავლის შედეგში. სამიზნე

ნიშნული შემდეგია: სტუდენტების 70–მა პროცენტმა უნდა მიიღოს მაქსიმალური შეფასების 75-100 %-ი. პროგრამაში წარმოდგენილი მიზნები არის გაზომვადი, რეალისტური და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის საბაკალავრო დონეს.
თვითშეფასების ანგარიშიდან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ყოველწლიურად კლებულობს კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი. კერძოდ: 2016-65.6%, 2017-50.3%, 2018-47.2%, 2019-32.7%, 2020-20.0%. სასურველია გაანალიზდეს აღნიშნული კლების ტენდენცია.
როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2019 წლიდან კლებულობს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართულობა. კერძოდ:
2016 – 40, 2017-52, 2018 -57, 2019 – 42, 2020 – 23 სასურველია გამოკვლეულ იქნას ჩართულობის შემცირების მიზეზები.
სტუდენტთა საბოლოო შეფასებების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობის (79%) შემთხვევაში შეფასების მაჩვენებელი იყო A და B.
სწავლის შეფასების მეთოდები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, თუმცა ცდილობენ შეასრულონ კურისის მიმდინარეობი პროცესში, რათა მიღებული მონაცემები გამოიყენონ პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზისთვის. ირიბი შეფასება ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით (სემესტრულად, ხოლო გამოკითხვა- წელიწადში ერთხელ).
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა, როგორც ივანე ჯავახიშილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
ჩატარებული ინტერვიუების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ რეგულარულად ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება.
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა საბოლოო შეფასებების განაწილების შედარება ოპტიმალურ (გაუსისტიპის) განაწილებასთან'
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილება N77/2011 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“; https://www.tsu.ge/en/legalakad/39830
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, დანართი N 1;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გაანალიზდეს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღების და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების კლების ტენდენცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების სპეციფიკას. ჩარიცხვა ხორციელდება ეროვნული გამოცდების საფუძველზე. მისაღებ გამოცდებზე დაწერებულია მინიმალური კომპეტენციის ისეთი ზღვრები, რომ ფაკულტეტზე მხოლოდ მაღალრეიტინგული შეფასების მქონე სტუდენტების მიღება იყოს შესაძლებელი. გამოცდები ბარდება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში და მათემატიკა/ისტორია-ში. საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად განთავსდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული მხარდაჭერა მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და საჯაროობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge ; ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოცემული საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი დებულების შესაბამისად. პროგრამა აგებულია საქართველოს დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით და იყენებს ევროპული კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის სისტემას (ECTS).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანია. მასში შედის სპეციალობის და არაპეციალობის კურსები. თავად სპეციალობის კურსები მოიცავს სავალდებულო და არასავალდებულო დისციპლინებს.

სავალდებულო კურსების კურიკულუმის რუკაში პირველ სასწავლო წელს სავალდებულო სპეციალობის კურსების რაოდენობა 25 წერია, თუმცა ჩამოთვლილია, 6 საგანი (რაც ჯამში 30 კრედიტს გულისხმობს), რაც სასურველია გასწორდეს.

სილაბუსების და სასწავლო გეგმის დეტალურად შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში, სასწავლო გეგმაში, სასწავლო კურსის სილაბუსსა და პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირ შეფასებაში მითითებულია სავალდებულო საგნად ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები. კურიკულუმის რუკაში კი წერია - დიაგნოსტიკის საფუძვლები. სასურველია გასწორდეს ეს ხარვეზი და კურიკულუმის რუკაში ჩაიწეროს - ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები.

სასწავლო გეგმაში და კურიკულუმის რუკაში პიროვნების ფსიქოლოგია 1 და 2 შეტანილია სავალდებულო საგნების ჩამონათვალში, ხოლო სილაბუსებში მითითებული აქვს არჩევითი საგნის სტატუსი. ინტერვიუირების დროს გამოვლინდა, რომ სილაბუსში დაშვებულია შეცდომა. რეკომენდებულია გასწორდეს ორივე სილაბუსში ეს ხარვეზი და სტატუსად დაიწეროს სავალდებულო.

ზოგ სასწავლო კურსში, რომელშიც სალექციო თემებთან ერთად სილაბუსში მითითებულია ჯგუფებში მუშაობა ან პრაქტიკული მეცადინეობა, ანუ, პრაქტიკული კომპონენტი, (მაგალითად, სპეციალური პრაქტიკული კურსი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურში, პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება კრიზისის სიტუაციაში; ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და სხვა) აღწერილია პრაქტიკული სამუშაოს შინაარსი, რაც მისასალმებელია. ზოგ სასწავლო კურსში კი (მაგალითად, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები და მათი გამოყენების პრაქტიკა; სწავლის მექანიზმები და კომპონენტები; სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია; ფსიქოლინგვისტიკის შესავალი; აკადემიური წერა; ფსიქოლოგიის საფუძვლები, მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით, და აშ.) არ არის დაკონკრეტებული სამუშაო ჯგუფებში თუ პრაქტიკული მეცადინეობების დროს განსახილველი თემები/საქმიანობები, რაც სასურველია აღწერილ იქნას სილაბუსში.

2 და 3 კრედიტიან პრაქტიკულ კურსებში დეტალურად არის აღწერილი სამუშაო ჯგუფების

თუ პრაქტიკული მეცადინეობის თემები.
ინტერვიუირების დროს გამოვლინდა სტუდენტების სურვილი, ინგლისური ენა ფსიქოლოგიური ლიტერატურის და ტერმინოლოგიების დაუფლების კუთხით გაეძლიერებინათ. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფესიული ინგლისური ენის კურსის დამატება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების პროფესიული ზრდის მოტივაციას. რამდენადაც, როგორც ცნობილია, დღესდღეობით საქართველოში უახლესი ლიტერატურა უმეტესწილად ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი.

ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტი უნივერსიტეტის სტუდენტებს სთავაზობს ფსიქოლოგიის, როგორც დამატებითი სპეციალობის (Minor) 60 კრედიტიან პროგრამას. იგი ორ დონედ არის დაყოფილი. პირველ, საბაზისო დონეზე შეისწავლება ფსიქოლოგიის საბაზისო კურსები (20 კრედიტი), როგორიცაა, ფსიქოლოგიის საფუძვლები და კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში. მეორე დონე ორსემესტრიანია და შეისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა, კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2, სოციალური ფსიქოლოგია 1 და 2, განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2 და პიროვნების ფსიქოლოგია 1 და 2.

ფაკულტეტი ინტერნაციონალური გაცვლითი (როგორც საბაკალავრო, ასავე სამაგისტრო) პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს არჩევით სასწავლო საგნებს. შეთავაზებულია 6 სასწავლო კურსი: Cross-Cultural Psychology, Introduction to psychology, Personality, culture, and social boundaries, Positive Psychology, Social Psychology, Interpersonal Communication.
სასწავლო პროგრამამ რეაკრედიტაციამდე გაიარა შეფასება როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, ასევე, განხორციელდა გარე შეფასება პროფესორ ლაურენტ ბეგიუსთან, რომელმაც დადებითად შეაფასა არსებული კურიკულუმი და საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს შესთავაზა რამდენიმე რეკომენდაცია, რაც გათვალისწინებულ იქნა ჯგუფის წევრების მიერ.
პროგრამა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.
სასწავლო პროგრამა საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
ინტერვიუირების საფუძველზე გამოვლინდა, რომ როგორც აკადემიური, ასევე, მოწვეული პერსონალი აქტიურად იყო ჩართული განახლებული პროგრამის შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და პროცედურის დამტკიცების შესახებ“
  https://www.tsu.ge/ka/legalakad/15842
- საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო გეგმა
- საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- კვლევითი ნაშრომის გზამკვლევი
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი, საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა მოცემულია მიმაგრებული ფაილის მეშვეობით:

https://www.tsu.ge/assets/media/files/54/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/BA-%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

- მაინორ პროგრამის აღწერილობა: https://tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Minorr.pdf
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან;
- სასწავლო პროგრამაში პროფესიული ინგლისური ენის კურსის დამატება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურიკულუმის რუკაში, პირველ სასწავლო წელს სავალდებულო სპეციალობის კურსებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.
- სასურველია სილაბუსებში, სადაც მითითებულია ჯგუფური მუშაობა თუ პრაქტიკული მეცადინეობა, დაკონკრეტდეს სამუშაო საკითხები;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა კი, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსების და სწავლის შედეგების და კურსების შესაბამისობის რუკამ აჩვენა, რომ ისინი თანხვედრაშია ერთმანეთთან.

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შესაბამისობაშია კურსის სირთულესთან და სწავლის შედეგებთან. არსებული საათების განაწილების ეფექტიანობა დგინდება ყოველი სემესტრის შემდეგ სტუდენტებთან გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე.

ასევე, უცხოელი სპეციალისტების და დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, სპეციალობის თეორიულ კურსებს დაემატა პრაქტიკული სასწავლო პროგრამები, რომლებიც მიმართულია უნარ-ჩვევები გამომუშავებაზე. მათი განაწილება შემდეგნაირია - თეორიული კურსები 59%, ხოლო პრაქტიკული - 41%.

კურსის სილაბუსებში განმარტებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი და აფასებს კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

სასწავლო კურსები მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე, დამხმარე საკითხავ ლიტერატურას. ზოგ საგანში ლიტერატურა შედარებით გვიანი გამოშვებით თარიღდება, რაცი სავარაუდოდ, ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირით აიხსნება.

სტუდენტებთან ინტერვიუირების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სასურელია დაიხვეწოს და გამოიცეს რიდერები. ასევე, სასურველია, შეძლებისდაგვარად განახლდეს ლიტერატურა.

მაგალითად, ფსიქიატრიის კურსში, ოქსფორდის სახელმძღვანელო ნაწილობრივ მოძველებულია (2012 წ), რადგან მასში მოყვანილი დაავადებები DSM IV-ის კრიტერიუმების მიხედვითაა აღწერილი. DSM V გამოქვეყნდა 2013 წელს. დამხმარე ლიტერატურა - 1. გ.ნანეიშვილი, "ფსიქიატრიის მოკლე კურსი", 1998 ან 2001 წლის გამოშვება - ასევე მოძველებულია. სასურველია მათი თანამედროვე ლიტერატურით ჩანაცვლება.

კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და საკითხავი მასალა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდზე: e-learning.tsu.ge. მოთხოვნადი ლიტერატურა განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე ან ნაბეჭდი სახით ინახება ბიბლიოთეკაში.

ხარისხის უზრუნველყფის სამსახურის მიერ გარკვეული პერიოდულობით ტარდება ელექტრონული სწავლებით კმაყოფილების კვლევა როგორც აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან, ასევე, სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი https://www.tsu.ge/ka/legalakad/15638
- თსუ-ს ვებგვერდი: https://tsu.ge/
- საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ

პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, შეძლებისდაგვარად განახლდეს ლიტერატურა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაში „ფსიქოლოგია“ პრაქტიკული სასწავლო კურსების პროცენტული წილია – 21%–ი, პრაქტიკულ კომპონენტიანი სასწავლო კურსები – 20%–ი, ხოლო დანარჩენი სპეციალობის თეორიული კურსები – 59 %–ი. პრაქტიკული სასწავლო კურსებია: ადამიანის ცხოვრების ისტორიის კვლევა და ნარატივის ანალიზი; ადაპტაციური ქცევისა და ემოციური მდგომარეობის შეფასების მეთოდები (EDDT და ვაინლენდი); აკადემიური წერა; ინტელექტის შეფასების მეთოდი (ვექსლერი); კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1; კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2; კონსტრუქციული ურთიერთობის საფუძვლები საკლასო ოთახში (პრაქტიკული კურსი); მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით; პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება კრიზისის სიტუაციაში; სპეციალური კურსი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურში; ფსიქობიოგრაფია; ფსიქოლოგიური კონსულტაცია; ფსიქომეტრიის შესავალი; ქცევითი და

ემოციური აშლილობები ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში; შესავალი საგამოძიებო ფსიქოლოგიაში (პრაქტიკული კურსი); ძალადობის მსხვერპლი ბავშვების და მოზარდების დახმარების მეთოდები. ხოლო, პრაქტიკულ კომპონენტიანი სასწავლო კურსებია: ადამიანური რესურსის მენეჯმენტი; ემოციური ინტელექტის კონცეპტუალიზაცია და შეფასების მეთოდები; ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1; ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 2; კარიერის კონსულტირება; ლიდერობის თეორია და პრაქტიკა; პერსონალის შერჩევა; პროფესიულ უნართა პრაქტიკუმი; რეკლამისა და მომხმარებლის ფსიქოლოგია; სამუშაო და კეთილდღეობა; სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია; სწავლის მექანიზმები და კომპონენტები; ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები; ჯგუფთან მუშაობის მეთოდები; აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში; დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია; ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება.

პროგრამა სრულიად უწყობს ხელს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას კურსის – კვლევითი ნაშრომის – ფარგლებში. მოცემული კურსი მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ კვლევის დაგეგმვის, ჩატარების, კვლევის შედეგების გაფორმებისა და ანგარიშის დაწერის პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბებას. აღნიშნული კურსის ფარგლებში, სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი და კვლევითი უნარების გამოვლენა ხორციელდება. კვლევითი ნაშრომის გზამკვლევში დეტალურადაა მოცემული კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა, ნაშრომის გაფორმების წესები და მოთხოვნები.

სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ფაკულტეტზე ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. ასევე, სტუდენტები მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ „საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესის“ თანახმად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დაფინანსება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. 2016 – 2020 წლებში სტუდენტთა სამეცნიერო – კვლევით პროექტებში (სამეცნიერო კონფერენცია და სამეცნიერო პროექტები) ჩართულობის მაჩვენებელია– 214.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2019 წელს სტუდენტური პროექტის ფარგლებში მომზადდა ჟურნალი - „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- კვლევითი ნაშრომის გზამკვლევი;
- ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა
- მონაწილეობის თაობაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tsu.ge
- https://www.psyedu.tsu.ge

- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული, სტუდენტზე ორიენტირებული, სწავლა/სწავლების მეთოდები და აქტივობები განაპირობებენ ამ კურსის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა/სწავლების მეთოდებს: ლექცია, სემინარი/სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობა, კონსულტაცია, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), როლური/სიტუაციური თამაშები, ელექტრონული სწავლება (e-learning). სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება

